მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეებს წარმოადგენდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ.იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებოდათ - ქალაქი თბილისი), რომლებიც ჩართული იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში“.

მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ.იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებოდათ - ქალაქი თბილისი), რომლებმაც მკურნალობის მონიტორინგის კურსი დაიწყეს 2015 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და ჩართული იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში“.

პროგრამა მოიცავდა შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას იმ პირებისათვის, რომლებსაც ჩატარებული ჰქონდათ კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული ჰქონდათ დადებითი პასუხი (წარმოდგენილი კვლევის შედეგის საფუძველზე). აღნიშნული კვლევებია:

HCV რნმ პოზიტიურ პაციენტებს უტარდებათ სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა რეალურ დროში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- ღვიძლის ელასტოგრაფია თუ FIB-4 ქულა არის 1.45-3.25 მაჩვენებლებს შორის;
- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა ხაზოვანი ჰიბრიდიზაციის ან რეალურ დროში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- ექიმთან ვიზიტი მკურნალობის რეჟიმის განსაზღვრისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის - ფორმა NIV-100/-ის გაცემის მიზნით.

მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას შემდეგი პრინციპით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა, რეალურ დროში, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით;
- სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯების (ALT, AST კვლევები), ბილირუბინის (პირდაპირი და საერთო), კრეატინინის, TSH განსაზღვრა;

მკურნალობის პროცესში ექიმის მიერ დეპრესიის მონიტორინგი, მკურნალობის რეჟიმის დაცვის კონტროლი და გვერდითი ეფექტების მონიტორინგი;

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის ოდენობა და სახე იყო:

- ❖ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება მოსარგებლეებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 70 000-ს, ფინანსდებოდა ფაქტობრივი ხარჯისა და სსიპ “სოციალური მომსახურების სააგენტოს” მიერ ანაზღაურებული თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულებების 30%-ით.
- ❖ მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება მოსარგებლეებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 70 000-ს, ფინანსდებოდა ფაქტობრივი ხარჯისა და სსიპ “სოციალური მომსახურების სააგენტოს” მიერ ანაზღაურებული თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულებების 30%-ით.

დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულება (2016 წლის 10 ივნისამდე დაწყებული კვლევების შემთხვევაში)

დიაგნოსტიკური ჯგუფი	ღირებულება(ლარი)
C ჰეპატიტის დადგენა (ექიმთან ვიზიტი+HCV RNA)	130
ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დადგენა (FIB4 (სისხლის საერთო, ALT, AST))	19
ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დადგენა (FIB4 (სისხლის საერთო, ALT, AST), ელასტოგრაფია)	99
მკურნალობის დაწყებამდე საჭირო სხვა კვლევები	251
ექიმთან ვიზიტი მკურნალობის რეჟიმის განსაზღვრისა და ფორმა NIV-100/ა -ის გაცემის მიზნით	20
მკურნალობის მონიტორინგი (12 -კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონით)	544
მკურნალობის მონიტორინგი (12- კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონის გარეშე)	535
მკურნალობის მონიტორინგი (20 -კვირიანი მკურნალობის კურსი)	623
მკურნალობის მონიტორინგი (24 -კვირიანი მკურნალობის კურსი)	677
მკურნალობის მონიტორინგი (48 -კვირიანი მკურნალობის კურსი)	901

დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულება (2016 წლის 10 ივნისიდან დაწყებული კვლევების შემთხვევაში)

დიაგნოსტიკური ჯგუფი	ღირებულება(ლარი)
C ჰეპატიტის დადგენა (HCV RNA)	110
მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები, ელასტოგრაფიით	390
მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები, ელასტოგრაფიის გარეშე	310
მკურნალობის მონიტორინგი (12 კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონით)	400
მკურნალობის მონიტორინგი (12 კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონის გარეშე)	391
მკურნალობის მონიტორინგი (24 კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონით)	502
მკურნალობის მონიტორინგი (24 კვირიანი მკურნალობის კურსი ინტერფერონის გარეშე)	493

დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულება (2017 წლის 1 აპრილიდან დაწყებული კვლევები)

დიაგნოსტიკური ჯგუფი	ღირებულება(ლარი)
C ჰეპატიტის დადგენა (HCV RNA)	110
მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები (სრული პაკეტი ელასტოგრაფიით) 2017 წლის 1 დეკემბრიდან	369
მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები (სრული პაკეტი ელასტოგრაფიის გარეშე)	298
მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები – TSH კვლევა (ინტერფერონის შემცველი მკურნალობის რეჟიმის შემთხვევაში)	9
მკურნალობის მონიტორინგი (12-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინისა და ინტერფერონის შემცველი რეჟიმით)	236
მკურნალობის მონიტორინგი (12-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინით ინტერფერონის გარეშე)	227
მკურნალობის მონიტორინგი (12-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინის გარეშე)	218
მკურნალობის მონიტორინგი (24-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინისა და ინტერფერონის შემცველი რეჟიმით)	304
მკურნალობის მონიტორინგი (24-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინით ინტერფერონის გარეშე)	286
მკურნალობის მონიტორინგი (24-კვირიანი მკურნალობის კურსი რიბავირინის გარეშე)	277

მკურნალობის მონიტორინგის კვლევების ღირებულება (2017 წლის 1 აპრილიდან დაწყებული კვლევები)

დიაგნოსტიკური ჯგუფი	ღირებულება (ლარი)
მკურნალობის მონიტორინგის მე-4 კვირის კვლევები	144
მკურნალობის მონიტორინგის მე-8 კვირის კვლევები (რიბავირინის შემცველი რეჟიმი)	34
მკურნალობის მონიტორინგის მე-8 კვირის კვლევები (რიბავირინის გარეშე რეჟიმი)	25
მკურნალობის მონიტორინგის მე-12 კვირის კვლევები (ინტერფერონის შემცველი რეჟიმი)	58
მკურნალობის მონიტორინგის მე-12 კვირის კვლევები (ინტერფერონის გარეშე რეჟიმი)	49
მკურნალობის მონიტორინგის მე-16 კვირის კვლევები	5
მკურნალობის მონიტორინგის მე-20 კვირის კვლევები	5
მკურნალობის მონიტორინგის 24-ე კვირის კვლევები (ინტერფერონის შემცველი რეჟიმი)	58
მკურნალობის მონიტორინგის 24-ე კვირის კვლევები (ინტერფერონის გარეშე რეჟიმი)	49

2018 წელს პროგრამის ფარგლებში გახარჯულმა თანხამ 481 853 ლარი შეადგინა.

ცხრილი 4.1. ბენეფიციარების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	2016		2017		2018	
	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა	4 096	387 280	6 352	1 121 193	570	58579.5
C ჰეპატიტის მონიტორინგი	13 296	1 973 200	12 851	1 493 775	3079	423273.6
სულ აქტივობა (დიაგნოსტიკა; მონიტორინგი)	**17 392**	**2 360 480**	**19 203**	**2 614 968**	**3 649**	**481 853**

თავი 5. ტრანსპლანტაცია

2017 წელს პროგრამა მოიცავდა:

პროგრამის მოსარგებლეებისათვის ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის და ტრანსპლანტაციის (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია) დაფინანსებას.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

„ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის“ პროგრამით მოსარგებლეები იყვნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოჰემატოლოგიური დაავადებების ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეები (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი).

შემდეგი დიაგნოზი(ები)ს შესაბამისად:

- მწვავე ლეიკემია;
- მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია;
- მწვავე მიელოიდური ლეიკემია;
- ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია;
- იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია;
- არა-ჰოჯკინის ლიმფომა;
- ჰოჯკინის ლიმფომა;
- მიელოდისპლაზიური სინდრომი;
- აპლაზიური ანემია;
- ჰისტიოციტოზი;
- თალასემია;
- მრავლობითი მიელომა.

2018 წელს გაფართოვდა „ტრანსპლანტაციის“ პროგრამა და ღვიძლის გადანერგვის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის ფინანსდებოდა ღვიძლის ტრანსპლანტაცია. დაფინანსება ხორციელდებოდა არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით და გულისხმობდა მომსახურების 50%-ით დაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის ოდენობა და სახე იყო:

2018 წელს პროგრამის დაფინანსება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ტრანსპლანტაცია (კოდი: 06 01 13)“ ასიგნებების ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში მომსახურების ღირებულება შეადგენდა:

მომსახურების დასახელება	ღირებულება ლარებში
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია	20 000
ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები	10 000
აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია (მ.შ. პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა)	95 000
ალოგენური ტრანსპლანტაცია (მ.შ. პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა)	170 000
ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია (მ.შ. პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა)	205 000
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	60 000

ცხრილი 5.1. ბენეფიციარების რაოდენობა და გადარიცხული თანხა

	2017	2018
ტრანპლანტაციის კომპონენტზე დაფინანსებულ პირთა რაოდენობა	48	63
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	0	7
გადარიცხული თანხა	4 649 991	6 951 295

თავი 6. ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

პროგრამა ამოქმედდა 2016 წლის 29 იანვრიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 29 იანვრის N2-5 დადგენილება)

2016 წელს პროგრამა გულისხმობდა HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე ბენეფიციარი პირებისათვის ერთ წლიანი კურსისთვის საჭირო რაოდენობის მედიკამენტი „ტრასტუზუმაბით“ დაფინანსების უზრუნველყოფას.

2017 წელს პროგრამა გაფართოვდა და გულისხმობდა:

ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში - „ტრასტუზუმაბით“ (დოზა – 440მგ + 20მლ გამხსნელი (საინექციო წყალი) მინის ფლაკონი №1) დაფინანსების უზრუნველყოფას;

ბ) კონსილიუმის დასკვნის საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში „ტრასტუზუმაბით“, „ტრასტუზუმაბი + პერტუზუმაბით“ ან „ლაპატინიბით“ დაფინანსების უზრუნველყოფას .

პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების მიმწოდებლები პროგრამის ფარგლებში არიან შემდეგი კომპანიები:

- შპს ,,პსპ-აფთიაქი“
- შპს “გეფა”
- შპს „ავერსი-ფარმა“

პროგრამის მოსარგებლეები იყვნენ:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში და ამავდროულად, პროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ან
ბ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

პროგრამაში ჩასართავად და მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლე პირს პროგრამის განმახორციელებლისათვის უნდა წარედგინა:

ა) მოსარგებლე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ბოლო 2 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);

გ) მკურნალი ექიმის მიერ მედიკამენტზე გაცემული რეცეპტის (ფორმა N3) ქსეროასლი;

დ) პროგრამის განმახორციელებლისათვის განცხადებით მომართვის თარიღამდე არაუმეტეს 2 კვირით ადრე გაცემული კონსილიუმის დასკვნა (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) პაციენტისათვის შესაბამისი მედიკამენტით მკურნალობის ჩატარების აუცილებლობისა და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მზაობის თაობაზე;

ე) კალკულაცია, მიმწოდებელი ორგანიზაციიდან.

პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის „ტრასტუზუმაბი“ დაფინანსების მისაღებად, მოსარგებლე პირს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გარდა პროგრამის განმახორციელებლისათვის უნდა წარედგინა:

ა) ტარგეტული თერაპიისა და ოპერაციული მკურნალობის მიმწოდებელი დაწესებულებებიდან მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობები (ფორმა №IV-100/ა-ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გაცემული უნდა იყოს ცნობების პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე. ამასთან, ტარგეტული თერაპიის მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემულ ფორმა №IV-100/ა-ში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მოსარგებლის წონა, ჩასატარებელი ტარგეტული თერაპიის სქემა;

ბ) HER-2 დადებითი ძუძუს ადრეული სტადიის კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების (იმუნოჰისტოქიმიური კვლევა, ხოლო იმუნოჰისტოქიმიით +2 ქულის შემთხვევაში, ასევე in situ ჰიბრიდიზაციის მეთოდით კვლევა (ფლუოროსცენტული (FISH) ან ქრომოგენული (CISH)) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“ ან „ლაპატინიბი“ დაფინანსების მისაღებად, მოსარგებლე პირს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გარდა, პროგრამის განმახორციელებლისათვის უნდა წარედგინა მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობა (ფორმა №IV-100/ა-ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე. ამასთან, ფორმა №IV-100/ა-ში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს:

ა) პირის მიერ ტარგეტული თერაპიის ჩატარების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ბ) რადიოლოგიურად დადასტურებული მეტასტაზური დაავადება;
გ) გულის განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი;
დ) ფიზიკური აქტივობის განმსაზღვრელი სტატუსი;
ე) ძვლის ტვინის, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქცია;
ვ) ყველა სხვა დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებლის შეხედულებისამებრ.

ყველა შემდგომი მატერიალიზებული ვაუჩერის (თანხმობის წერილის) მისაღებად მოსარგებლე პირს განმახორციელებლისათვის უნდა წარედგინა ტარგეტული თერაპიის განმახორციელებელი ექიმის მიერ პირადი ხელმოწერითა და სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დადასტურებული საბუთი (აღნიშნული საბუთის ფორმა პირს ეძლევა მერიაში წერილთან ერთად).

მოსარგებლეებს უფინანსდებოდათ პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის მაქსიმუმ 1 წლიანი კურსის მოცულობა. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება **150 000-ს,** მედიკამენტი უფინანსდებოდათ **სრულად,** თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა **სხვა მოსარგებლეს,** პროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის გათვალისწინებით – **80%-ის მოცულობით,** ასეთ შემთხვევაში, **პაციენტის თანაგადახდა** შეადგენდა პროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის **20%-ს.**

2018 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა **3 783 560**[5] ლარი.

[5] აღნიშნული თანხა მოიცავს როგორც მედიკამენტებზე გადარიცხულ თანხას, ასევე სახელფასო ფონდს (16 730 ლარი).

ცხრილი 6.1. ბენეფიციარებთა რაოდენობა, მათზე გაცემული მედიკამენტები და გადარიცხული თანხა

	2017			2018		
	ბენეფიციართა რაოდენობა	გაცემული ფლაკონების /კოლოფების რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	გაცემული ფლაკონების /კოლოფების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	89	945	2 178 676	115	1 089	2 000 518
პერტუზუმაბი+ ტრასტუზუმაბი	22	325	958 240	38	531	1 515 159
ლაპატინიბი	9	77	57 953	11	114	251 154
სულ	**120**	**1 347**	**3 194 869**	**164**	**1 734**	**3 766 830**

თავი 7. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

პროგრამა ამოქმედდა 2016 წლის 18 მარტიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №6-19)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდებოდა შემდეგი ღონისძიებები:

- ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია (ბავშვებსა და მოზარდებში), რომელიც მოიცავდა:
  - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ კრიზისული ინტერვენციის განხორციელებას კრიზისული ინტერვენციის ცენტრში და მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე და/ან სასწავლო დაწესებულებაში პროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას;
  - დღის სტაციონარში გეგმიურ ამბულატორიულ კონსულტაციებს;
  - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებას, ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, იმპლემენტაციას და მონიტორინგს;
  - ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ინდივიდუალური თერაპიების განხორციელებას (სისტემური ოჯახური კრიზისული თერაპია, კოგნიტურ-ქცევითი თერაპია და ბავშვთა და მოზარდთა ასაკს მორგებული სხვადასხვა ფსიქოთერაპიული შეხვედრები (ხელოვნებით თერაპია, თამაშის თერაპია და ა. შ.));
  - საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ფსიქიატრიულ კონსულტაციებს;
  - მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგს ბინაზე და/ან სასწავლო დაწესებულებაში პროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას.
- აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც მოიცავდა:
  - მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას;
  - რეგულარულ ვიზიტებს (არანაკლებ 6 ვიზიტი თვეში) საცხოვრებელ ადგილზე, 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას;
  - მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს;
  - მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას;
  - ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების უზრუნველყოფას;
  - 24 საათის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
  - საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრის - ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

პროგრამით მოსარგებლეებად განისაზღვრა:

- პროგრამის კომპონენტის „ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში“ მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F06; F20-F25; F31–F33; F40–F45; F90–F95; F98) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 5-15 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

- პროგრამის კომპონენტის „აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა“ კომპონენტის ფარგლებში დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F06.0; F06.2; F20-F21; F25; F31; F33) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 18-65 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (შემდგომში - მოსარგებლე), გარდა სახელმწიფო პროგრამის – „ფსიქიკური

ჯანმრთელობა“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 01) დანართი №12-ის მე-3 მუხლის პირველი და მე-5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეებისა.

მოსარგებლების პროგრამაში ჩართვა ხორციელდებოდა:

- „ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში“ კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებელთან პირდაპირი მიმართვის ან ამავე მიმწოდებლის/პროფილური დაწესებულების მიერ მოსარგებლის რეფერირების შემთხვევაში;
- „აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა“ კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ რეგისტრაციისას პროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად და პროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას:
    - მიმწოდებელი, პროგრამაში ჩართვისას, პროგრამის განმახორციელებელთან წარადგენდა სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს
    - დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილას ჩასართავად მიმწოდებლის მიერ შეირჩეოდა სახელმწიფო პროგრამის - „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 01) დანართი N11-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლე პირი, რომელზეც ბოლო 1 წლის განმავლობაში ფიქსირდებოდაა:
        - 3 ან მეტი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა ან/და;
        - ჰოსპიტალში ჯამში 5 თვე ან/და 5 თვეზე მეტხანს დაყოვნება.

პროგრამის დაფინანსება:

- პროგრამის კომპონენტით „ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში“ გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება:
    - არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 300 ლარისა;
    - დაფინანსების ერთეულს წარმოადგენს ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული არანაკლებ ერთ საათიანი ინდივიდუალური ინტერვენცია, რომლის ღირებულება შეადგენს 25 ლარს;
    - პროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, თვეში ფინანსდება, არაუმეტეს 12 ინტერვენცია (მოსარგებლის/პაციენტის მხრიდან თანაგადახდის გარეშე), ხოლო დამატებითი ინტერვენციების ღირებულება შესაძლებელია ანაზღაურდეს მოსარგებლის (პაციენტის) მხრიდან;
    - პროგრამის ფარგლებში 1 ბენეფიციარზე ფინანსდება წელიწადში მაქსიმუმ 2 უწყვეტი თვის ვაუჩერი, არაუმეტეს 24 ინტერვენცია.
- პროგრამის კომპონენტით „აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა“ გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება:
    - არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 250 ლარისა;
    - ქვეპროგრამით განსაზღვრული მოცულობის არასრული თვის შესრულების შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო თვეში შესრულებული კალენდარული დღეების პროპორციულად;
    - დაფინანსება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის გარეშე.

2018 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 482 354 ლარი.

ცხრილი 7.1. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ბენეფიციარები და გადარიცხული თანხა

	2017		2018	
	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში	274	177 550	348	242 775
აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა	76	189 903	97	239 579
სულ		**367 453**		**482 354**

ცხრილი 7.2. ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცის პროგრამის ბენეფიციარებზე გაწეულ მომსახურებათა რაოდენობა

რაიონი	2017	2018
გლდანი და ნაძალადევის	114	207
დიდუბე და ჩუღურეთის	147	157
ისანი და სამგორის	89	113
ვაკე და საბურთალოს	168	291
მთაწმინდა და კრწანისის	62	72
სულ	**580**	**840**

ცხრილი 7.3. ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცის პროგრამის ბენეფიციარებთა განცხადებების რაოდენობა ასაკობრივ ჯგუფებში

	2017						
რაიონი	5-6	7-8	9-10	11-12	13-15	15-17	სულ
გლდანი და ნაძალადევის	15	20	24	17	38	…	114
დიდუბე და ჩუღურეთის	40	39	33	24	11	…	147
ისანი და სამგორის	13	17	14	14	31	…	89
ვაკე და საბურთალოს	32	27	36	19	54	…	168
მთაწმინდა და კრწანისის	11	20	9	9	13	…	62
სულ	**111**	**123**	**116**	**83**	**147**	…	**580**
	2018						
	5-6	7-8	9-10	11-12	13-15	15-17	სულ
გლდანი და ნაძალადევის	15	34	61	45	28	24	207
დიდუბე და ჩუღურეთის	16	35	38	34	22	12	157
ისანი და სამგორის	6	27	28	17	17	18	113
ვაკე და საბურთალოს	13	44	50	80	51	53	291
მთაწმინდა და კრწანისის	7	16	11	7	8	23	72
სულ	**57**	**156**	**188**	**183**	**126**	**130**	**840**

ნაწილი IV. სოციალური პროგრამები

თავი 1. კომუნალური სუბსიდირება

2015 წელს კომუნალური სუბსიდირების პროგრამა ითვალისწინებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახებისთვის იანვარში, თებერვალში, მარტში, ნოემბერში და დეკემბერში ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადის სუბსიდიის დარიცხვას. გარდა კომუნალური სუბსიდიისა, პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი ოჯახებსათვის ფულადი დახმარების გაცემას.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ელქტრო-ენერგიის აქტიური, საყოფაცხოვრებო მომხმარებელი/აბონენტები. აქტიურ აბონენტებად ითვლებოდნენ ოჯახები, რომლებმაც სუბსიდიის დარიცხვის წინა თვემდე, გასული სამი თვის განმავლობაში უწყვეტად მოიხმარეს 60 კვ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომლებიც ბენეფიტის დარიცხვის თვის წინა სამი თვის განმავლობაში უწყვეტად ინარჩუნებდნენ 70 001-ზე ნაკლებ სარეიტინგო ქულას.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის სახე და ოდენობა იყო:

თბილისის ყველა ოჯახისთვის:

- ელექტროენერგიის სუბსიდია _ თვეში - 8,45 ლარი;
- წყლის მოსაკრებლის სუბსიდია _ თვეში - 3,15 ლარი;
- დასუფთავების მოსაკრებლის სუბსიდია _ თვეში ერთ სულზე - 2,50 ლარი, ორ სულზე - 5 ლარი, სამ სულზე - 7,50 ლარი და 4 და მეტი სული - 10 ლარი;

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის:

- მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ ოჯახებს დამატებით ერიცხებოდათ ფულადი დახმარება 450 ლარის ოდენობით, რომელიც 5 ეტაპად გაიცემოდა.

ბენეფიტის მიწოდება ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

- კომუნალური სუბსიდია აისახებოდა კომუნალური გადასახადის ერთიანი გადახდის ქვითარზე;
- ფულადი ნაწილი ოჯახის უფლებამოსილი პირის პირად ანგარიშზე ავტომატურად ირიცხებოდა.

2016 წლის მარტის თვეში პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები. მათ შორის, იმ ოჯახებმა, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 70 000-ს ბენეფიტი, ფულადი სახით (ოჯახის უფლებამოსილი წევრის პირად ანგარიშზე), მიიღეს 106 ლარის

ოდენობით, ხოლო იმ ოჯახებმა, რომელთა სარეიტინგო ქულა იყო 70 001-სა და 200 000-ს შორის ბენეფიტი, ფულადი სახით (ოჯახის უფლებამოსილი წევრის პირად ანგარიშზე), მიიღეს - 16 ლარის ოდენობით.

2016 წლის ნოემბერსა და დეკემბრის თვეში შეიცვალა ბენეფიტის სახე და ოჯახებმა დახმარება მიიღეს არაფულადი სახით. სუბსიდიის დარიცხვა განხორციელდა ბენეფიციარი ოჯახის შესაბამის აბონენტის ნომერზე შეღავათის ასახვის გზით. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განისაზღვრა თვეში არაუმეტეს 106 ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განისაზღვრა თვეში არაუმეტეს 16 ლარით, შემდეგი გამოთვლის მეთოდითა და პრიორიტეტის მიხედვით:

- დასუფთავების მოსაკრებელზე:
  - აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი 2,5 ლარის ოდენობით;
  - აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი 5 ლარის ოდენობით;
  - აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი 7,5 ლარის ოდენობით;
  - აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი 10 ლარის ოდენობით;
- წყლის გადასახადზე 3,15 ლარის ოდენობით;
- ელექტროენერგიაზე, აბონენტის მიერ, თვის განმავლობაში ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ხარჯის შესაბამისად.

2017 წელს ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ლიმიტი გაიზარდა და ჯამური ოდენობა განისაზღვრა თვეში არაუმეტეს 20 ლარით.

2018 წლის დეკემბერიდან წყლის მოსაკრებელზე ნაცვლად 3.15 ლარისა ირიცხება 3.89 ლარის სუბსიდია.

2018 წელს პროგრამაში ჩართული იყო 51 397 ოჯახი, პროგრამის გახორციელებისათვის კი, დაიხარჯა 7 338 770 ლარი.

ცხრილი 1.1. კომუნალური სუბსიდიის მიმღები აბონენტების რაოდენობა და გადარიცხული თანხა, 2015 წლის დეკემბრის თვეში

კომუნალური მომსახურების ტიპი	ბენეფიციართა რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	ერთ ბენეფიციარზე გახარჯული თანხა
ელექტროენერგია	384 100	3 245 645	8.45
დასუფთავება	313 985	1 937 858	6.17
წყალი	325 557	1 025 505	3.15
სულ		**6 209 007**	

ცხრილი 1.2. კომუნალური დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა და გადარიცხული თანხები რაიონების მიხედვით, 2015 წლის დეკემბრის თვეში

რაიონი	ოჯახების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
გლდანი და ნაძალადევის	11 807	991 788
დიდუბე და ჩუღურეთის	5 207	437 388
ისანი და სამგორის	10 798	907 032
ვაკე და საბურთალოს	3 832	321 888
მთაწმინდა და კრწანისის	3 001	252 084
სულ	**34 645**	**2 910 180**

ცხრილი 1.3. კომუნალური სუბსიდიის მიმღები აბონენტების რაოდენობა და გადარიცხული თანხა გახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით, 2015 წლის დეკემბრის თვეში

	თელასი			დასუფთავება		
კილოვატი	აბონენტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა	პროცენტი	აბონენტების რაოდენობა	გადარიცხული თანხა	პროცენტი
არ აღემატება 100-ს	97 992	828 032	25.5	75 019	373 710	23.9
100-200	173 854	1 469 066	45.3	145 341	925 340	46.3
200-300	73 340	619 723	19.1	62 366	427 038	19.9
300-400	22 264	188 131	5.8	18 596	126 218	5.9
400-500	8 075	68 234	2.1	6 656	45 108	2.1
500-600	3 515	29 702	0.9	2 804	19 003	0.9
600-700	1 682	14 213	0.4	1 253	8 493	0.4
700-800	974	8 230	0.3	695	4 588	0.2
800-900	548	4 631	0.1	388	2 580	0.1
900-1000	410	3 464	0.1	250	1 710	0.1
მეტია ან ტოლი 1000-ზე	1 446	12 219	0.4	617	4 073	0.2
სულ	**384 100**	**3 245 645**	**100.0**	**313 985**	**1 937 858**	**100.0**

ცხრილი 1.4. კომუნალური დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა და გადარიცხული თანხები, 2016 წლის მარტის თვეში

	ოჯახების რაოდენობა			გადარიცხული თანხა		
რაიონი	0-70 000	70 000-200 000	სულ	0-70 000	70 000-200 000	სულ
გლდანი და ნაძალადევის	11 980	17 439	29 419	1 269 880	279 024	1 548 904
დიდუბე და ჩუღურეთის	5 463	6 358	11 821	579 078	101 728	680 806
ისანი და სამგორის	11 156	14 279	25 435	1 182 536	228 464	1 411 000
ვაკე და საბურთალოს	3 986	7 807	11 793	422 516	124 912	547 428
მთაწმინდა და კრწანისის	3 056	4 886	7 942	323 936	78 176	402 112
სულ	**35 641**	**50 769**	**86 410**	**3 777 946**	**812 304**	**4 590 250**

ცხრილი 1.5. კომუნალური დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა და გადარიცხული თანხები, 2016 წლის დეკემბრის თვეში

	ოჯახების რაოდენობა			გადარიცხული თანხა		
რაიონი	0-70 000	70 000-200 000	სულ	0-70 000	70 000-200 000	სულ
გლდანი და ნაძალადევის	7 876	9 886	17 762	258 278	152 499	410 777
დიდუბე და ჩუღურეთის	3 916	3 552	7 468	124 603	54 258	178 861
ისანი და სამგორის	2 814	4 436	7 250	97 058	67 660	164 719
ვაკე და საბურთალოს	7 479	8 576	16 055	236 395	131 823	368 219
მთაწმინდა და კრწანისის	2 078	2 365	4 443	63 982	35 817	99 799
სულ	**24 163**	**28 815**	**52 978**	**780 317**	**442 057**	**1 222 374**

ცხრილი 1.6. კომუნალური დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა გადასახადის სახეების მიხედვით, 2016 წლის დეკემბრის თვეში

რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი
გლდანი და ნაძალადევის	17 227	17 596	16 524
დიდუბე და ჩუღურეთის	7 201	7 415	6 950
ისანი და სამგორის	15 607	15 906	15 052
ვაკე და საბურთალოს	6 997	7 114	6 619
მთაწმინდა და კრწანისის	4 239	4 380	4 011
სულ	**51 271**	**52 411**	**49 156**

ცხრილი 1.7. კომუნალურ დახმარებაზე სუბსიდიით გადარიცხული თანხები გადასახადის სახეების მიხედვით, 2016 წლის დეკემბრის თვეში

რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	262 863	95 864	52 051	410 777
დიდუბე და ჩუღურეთის	122 347	34 622	21 893	178 861
ისანი და სამგორის	236 236	84 569	47 414	368 219
ვაკე და საბურთალოს	107 066	36 803	20 850	164 719
მთაწმინდა და კრწანისის	65 580	21 584	12 635	99 799
სულ	**794 092**	**273 441**	**154 841**	**1 222 374**

ცხრილი 1.8. კომუნალური სუბსიდიის მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების საშუალო რაოდენობა თვეში, სარეიტინგო ქულის ჯგუფებში

	2017			2018		
რაიონი	0-70000	70000-200000	სულ	0-70000	70000-200000	სულ
გლდანი-ნაძალადევი რაიონი	8 106	7 836	15 941	8 088	7 262	15 351
დიდუბე-ჩუღურეთი რაიონი	3 949	2 969	6 919	3 736	2 805	6 541
ვაკე-საბურთალო რაიონი	2 838	3 545	6 383	2 697	3 044	5 741
ისანი-სამგორი რაიონი	7 848	7 304	15 152	7 823	6 488	14 311
მთაწმინდა-კრწანისი რაიონი	2 189	2 363	4 552	2 183	2 341	4 524
სულ	**24 930**	**24 017**	**48 947**	**24 528**	**21 940**	**46 467**

ცხრილი 1.9. კომუნალური სუბსიდიის მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გადარიცხული თანხები საშუალოდ თვეში, სარეიტინგო ქულის ჯგუფებში (ლარი)

	2017			2018		
რაიონი	0-70000	70000-200000	სულ	0-70000	70000-200000	სულ
გლდანი-ნაძალადევი რაიონი	333 895	145 977	479 873	363 488	135 330	498 818
დიდუბე-ჩუღურეთი რაიონი	162 342	54 423	216 764	158 164	51 670	209 835
ვაკე-საბურთალო რაიონი	120 545	65 350	185 894	118 926	55 915	174 841
ისანი-სამგორი რაიონი	320 038	135 251	455 289	333 884	120 320	454 204
მთაწმინდა-კრწანისი რაიონი	84 066	42 965	127 031	87 331	42 655	129 986
სულ	**1 020 886**	**443 966**	**1 464 851**	**1 061 794**	**405 890**	**1 467 684**

ცხრილი 1.10. კომუნალური დახმარების მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების საშუალო რაოდენობა თვეში, გადასახადის სახეების მიხედვით

	2017			2018		
რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი
გლდანი-ნაძალადევი რაიონი	15 464	15 768	14 685	14 903	15 165	14 046
დიდუბე-ჩუღურეთი რაიონი	6 685	6 870	6 417	6 320	6 479	6 075
ვაკე-საბურთალო რაიონი	6 160	6 280	5 791	5 531	5 649	5 192
ისანი-სამგორი რაიონი	14 735	15 003	14 078	13 935	14 137	13 167
მთაწმინდა-კრწანისი რაიონი	4 332	4 484	4 156	4 265	4 441	4 206
სულ	**47 376**	**48 405**	**45 127**	**44 954**	**45 872**	**42 687**

ცხრილი 1.11. კომუნალური სუბსიდიის მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გადარიცხული თანხები საშუალოდ თვეში, გადასახადის სახეების მიხედვით (ლარი)

რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	**სულ**	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	**სულ**
გლდანი-ნაძალადევი რაიონი	350 201	83 413	46 259	479 873	373 929	78 571	46 318	498 818
დიდუბე-ჩუღურეთი რაიონი	165 349	31 201	20 214	216 764	160 879	28 920	20 036	209 835
ვაკე-საბურთალო რაიონი	136 432	31 222	18 241	185 894	130 520	27 197	17 124	174 841
ისანი-სამგორი რაიონი	333 447	77 497	44 345	455 289	340 365	70 437	43 402	454 204
მთაწმინდა-კრწანისი რაიონი	91 951	21 988	13 092	127 031	94 456	21 662	13 868	129 986
სულ	**1 077 379**	**245 321**	**142 151**	**1 464 851**	**1 100 150**	**226 786**	**140 748**	**1 467 684**

თავი 2. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

2015 წლიდან აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებსაც 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი ბავშვი ჰყავდათ.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის სახე და ოდენობა იყო:

18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვისათვის ფულადი ბენეფიტი თვეში 50 ლარის ოდენობით.

ბენეფიტის მიწოდება ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

ბენეფიციარ ოჯახებს კუთვნილი თანხა ერიცხებოდათ ავტომატურად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზისა და მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების თაობაზე ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, ბანკის მიერ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის საბანკო ბარათი მზადდებოდა, რომელზეც პროგრამით გათვალისწინებული თანხა შემდგომში უკვე ავტომატურად ირიცხებოდა. ოჯახს თანხა ბანკიდან ბარათის გატანის თაობაზე ინფორმაციის მიღების თვიდან ერიცხებოდა.

2018 წელს პროგრამაში ჩართული იყო 4 908 ოჯახი, პროგრამის გახორციელებისათვის კი, დაიხარჯა

8 701 650 ლარი.

ცხრილი 2.1. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა და გადარიცხული თანხა საშუალოდ თვეში, რაონების მიხედვით

რაიონი	2016			2017			2018		
	ოჯახების რაოდენობა	ბავშვების რაოდენობა	თანხა	ოჯახების რაოდენობა	ბავშვების რაოდენობა	თანხა	ოჯახების რაოდენობა	ბავშვების რაოდენობა	თანხა
გლდანი და ნაძალადევის	1 314	4 494	225 021	1 350	4 628	237 754	1 455	4 997	250 479
დიდუბე და ჩუღურეთის	410	1 393	69 833	419	1 425	73 817	442	1 493	74 867
ისანი და სამგორის	1 301	4 522	226 229	1 376	4 813	248 746	1 526	5 326	266 567
ვაკე და საბურთალოს	359	1 280	64 133	355	1 260	65 683	357	1 278	64 142
მთაწმინდა და კრწანისის	330	1 166	58 458	340	1 207	62 142	386	1 372	68 817
სულ	**3 713**	**12 855**	**643 675**	**3 839**	**13 33`3**	**688 142**	**4 167**	**14 466**	**724 871**

ცხრილი 2.2. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ბავშვების რაოდენობრივი განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით, საშუალოდ თვეში

რაიონი	2016			2017			2018		
	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	2 272	2 222	4 494	2 322	2 305	4 628	2 495	2 502	4 997
დიდუბე და ჩუღურეთის	687	705	1 393	715	710	1 425	755	738	1 493
ისანი და სამგორის	2 291	2 231	4 522	2 437	2 376	4 813	2 675	2 651	5 326
ვაკე და საბურთალოს	632	649	1 280	611	650	1 260	628	650	1 278
მთაწმინდა და კრწანისის	575	590	1 166	603	604	1 207	687	685	1 372
სულ	**6 457**	**6 398**	**12 855**	**6 687**	**6 646**	**13 333**	**7 240**	**7 226**	**14 466**

ცხრილი 2.3. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ბავშვების პროცენტული განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით, საშუალოდ თვეში

რაიონი	2016			2017			2018		
	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	50.5	49.5	100.0	50.2	49.8	100.0	49.9	50.1	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	49.4	50.6	100.0	50.2	49.8	100.0	50.6	49.4	100.0
ისანი და სამგორის	50.7	49.3	100.0	50.6	49.4	100.0	50.2	49.8	100.0
ვაკე და საბურთალოს	49.3	50.7	100.0	48.4	51.6	100.0	49.2	50.8	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	49.4	50.6	100.0	49.9	50.1	100.0	50.1	49.9	100.0
სულ	**50.2**	**49.8**	**100.0**	**50.2**	**49.8**	**100.0**	**50.0**	**50.0**	**100.0**

ცხრილი 2.4. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობრივი განაწილება ასაკისა და რაიონების მიხედვით, საშუალოდ თვეში

რაიონი	2016				2017				2018			
	0-5	6-11	12-18	სულ	0-5	6-11	12-18	სულ	0-5	6-11	12-18	სულ
გლდანი და ნაძალადევის	1 482	1 777	1 235	4 494	1 513	1 865	1 250	4 628	1 613	2 063	1 321	4 997
დიდუბე და ჩუღურეთის	473	566	353	1 393	465	592	368	1 425	461	624	409	1 493
ისანი და სამგორის	1 562	1 754	1 206	4 522	1 639	1 921	1 253	4 813	1 725	2 212	1 390	5 326
ვაკე და საბურთალოს	413	509	358	1 280	392	516	353	1 260	371	520	388	1 278
მთაწმინდა და კრწანისის	380	479	307	1 166	392	499	317	1 207	437	572	363	1 372
სულ	**4 311**	**5 086**	**3 458**	**12 855**	**4 400**	**5 393**	**3 540**	**13 333**	**4 607**	**5 989**	**3 870**	**14 466**

ცხრილი 2.5. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება ასაკისა და რაიონების მიხედვით, საშუალოდ თვეში

	2016				2017				2018			
რაიონი	0-5	6-11	12-18	სულ	0-5	6-11	12-18	სულ	0-5	6-11	12-18	სულ
გლდანი და ნაძალადევის	33.0	39.5	27.5	100.0	32.7	40.3	27.0	100.0	32.3	41.3	26.4	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	34.0	40.7	25.4	100.0	32.6	41.6	25.8	100.0	30.9	41.7	27.4	100.0
ისანი და სამგორის	34.6	38.8	26.7	100.0	34.1	39.9	26.0	100.0	32.4	41.5	26.1	100.0
ვაკე და საბურთალოს	32.3	39.8	27.9	100.0	31.1	40.9	28.0	100.0	29.0	40.7	30.3	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	32.6	41.1	26.3	100.0	32.4	41.3	26.3	100.0	31.9	41.7	26.4	100.0
სულ	**33.5**	**39.6**	**26.9**	**100.0**	**33.0**	**40.4**	**26.5**	**100.0**	**31.8**	**41.4**	**26.8**	**100.0**

ცხრილი 2.6. ბენეფიციარი ოჯახების რაოდენობრივი განაწილება და გადარიცხული თანხა ოჯახში მცხოვრები ბავშვების მიხედვით, საშუალოდ თვეში

	2016		2017		2018	
ოჯახში ბავშვების რაოდენობა	ოჯახების რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ოჯახების რაოდენობა	გადარიცხული თანხა	ოჯახების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
3	2 565	385 163	2 627	407 363	2 855	429 000
4	786	157 350	829	170 463	906	181 550
5	238	59 692	249	64 192	256	63 917
6	69	20 800	80	25 054	87	26 075
7	38	13 529	37	13 267	44	15 488
8	10	3 967	9	3 892	12	4 767
9	5	2 063	4	1 988	5	2 025
10	2	792	2	1083	3	1500
11	1	321	2	1008	1	550
სულ	**3 713**	**643 675**	**3 839**	**688 308**	**4 167**	**724 871**

ცხრილი 2.7. ბენეფიციარი ოჯახების პროცენტული განაწილება და გადარიცხული თანხა ოჯახში მცხოვრები ბავშვების მიხედვით, საშუალოდ თვეში

	2016		2017		2018	
ოჯახში ბავშვების რაოდენობა	ოჯახები	თანხა	ოჯახები	თანხა	ოჯახები	თანხა
3	69.1	59.8	68.4	59.2	68.5	59.2
4	21.2	24.4	21.6	24.8	21.7	25.0
5	6.4	9.3	6.5	9.3	6.1	8.8
6	1.9	3.2	2.1	3.6	2.1	3.6
7	1.0	2.1	1.0	1.9	1.0	2.1
8	0.3	0.6	0.2	0.6	0.3	0.7
9	0.1	0.3	0.1	0.3	0.1	0.3
10	0.0	0.1	0.1	0.2	0.1	0.2
11	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**

ცხრილი 2.8. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობრივი განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, საშუალოდ თვეში

	2016			2017			2018		
ასაკი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
0	230	245	475	237	261	498	217	234	451
1	327	321	648	357	357	714	307	357	663
2	373	357	729	375	364	739	412	417	829
3	370	376	746	398	387	785	438	420	858
4	407	385	792	395	408	804	458	450	907
5	456	464	921	433	427	860	447	452	899
6	451	518	969	469	494	963	473	494	968
7	463	510	973	474	519	993	521	529	1 050
8	432	443	875	481	518	1 000	526	560	1 086
9	380	398	778	450	451	902	531	553	1 084
10	372	385	756	392	396	787	482	480	962
11	374	360	734	371	377	748	425	414	840
12	401	351	752	378	347	725	397	389	786
13	336	316	653	382	334	716	383	352	735
14	304	291	595	319	302	621	384	338	722
15	288	269	556	282	266	548	310	303	613
16	250	214	464	253	241	495	276	257	533
17	243	195	438	232	194	426	251	226	477
სულ	**6 457**	**6 398**	**12 855**	**6 688**	**6 646**	**13 333**	**7 240**	**7 226**	**14 466**

ცხრილი 2.9. ბენეფიციარ ოჯახებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, საშუალოდ თვეში

	2016			2017			2018		
ასაკი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
0	3.6	3.8	3.7	3.5	3.9	3.7	3.0	3.2	3.1
1	5.1	5.0	5.0	5.3	5.4	5.4	4.2	4.9	4.6
2	5.8	5.6	5.7	5.6	5.5	5.5	5.7	5.8	5.7
3	5.7	5.9	5.8	6.0	5.8	5.9	6.0	5.8	5.9
4	6.3	6.0	6.2	5.9	6.1	6.0	6.3	6.2	6.3
5	7.1	7.3	7.2	6.5	6.4	6.4	6.2	6.3	6.2
6	7.0	8.1	7.5	7.0	7.4	7.2	6.5	6.8	6.7
7	7.2	8.0	7.6	7.1	7.8	7.4	7.2	7.3	7.3
8	6.7	6.9	6.8	7.2	7.8	7.5	7.3	7.7	7.5
9	5.9	6.2	6.1	6.7	6.8	6.8	7.3	7.7	7.5
10	5.8	6.0	5.9	5.9	6.0	5.9	6.7	6.6	6.6
11	5.8	5.6	5.7	5.5	5.7	5.6	5.9	5.7	5.8
12	6.2	5.5	5.9	5.7	5.2	5.4	5.5	5.4	5.4
13	5.2	4.9	5.1	5.7	5.0	5.4	5.3	4.9	5.1
14	4.7	4.5	4.6	4.8	4.6	4.7	5.3	4.7	5.0
15	4.5	4.2	4.3	4.2	4.0	4.1	4.3	4.2	4.2
16	3.9	3.3	3.6	3.8	3.6	3.7	3.8	3.6	3.7
17	3.8	3.0	3.4	3.5	2.9	3.2	3.5	3.1	3.3
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**

თავი 3. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3-ე, მე-4-ე, მე-5-ე და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2015 წლიდან აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მესამე ან მომდევნო ბავშვი შეეძინათ.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის სახე და ოდენობა იყო:

- მე-3-ე ახალშობილზე - 800 ლარი;
- მე-4-ე ახალშობილზე - 1000 ლარი;
- მე-5-ე და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარი;

ბენეფიტის მიწოდება ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

ოჯახი, ახალშობილის შეძენის შემდეგ, დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართავდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს. თანხა ირიცხებოდა ოჯახის უფლებამოსილი პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

პროგრამაში ჩასართველად საჭირო დაკუმენტების სია იყო:

- ქორწინების მოწმობის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (თუნდაც ერთ-ერთი მშობლის);
- შვილების დაბადების მოწმობის ასლები;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველის სარეიტინგო ქულის შესახებ;

2018 წელს პროგრამის ბენეფიციარი იყო 426 ბავშვი, ხოლო პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 411 400 ლარი.

ცხრილი 3.1. ახალშობილების რაოდენობრივი განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით

	2016			2017			2018		
რაიონი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	74	73	147	74	83	157	68	86	154
დიდუბე და ჩუღურეთის	23	21	44	23	20	43	14	18	32
ისანი და სამგორის	65	86	151	73	108	181	80	90	170
ვაკე და საბურთალოს	19	19	38	12	16	28	17	11	28
მთაწმინდა და კრწანისის	19	18	37	18	29	47	23	19	42
სულ	**200**	**217**	**417**	**200**	**256**	**456**	**202**	**224**	**426**

ცხრილი 3.2. ახალშობილების პროცენტული განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით

	2016			2017			2018		
რაიონი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	50.3	49.7	100.0	47.1	52.9	100.0	44.2	55.8	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	52.3	47.7	100.0	53.5	46.5	100.0	43.8	56.3	100.0
ისანი და სამგორის	43.0	57.0	100.0	40.3	59.7	100.0	47.1	52.9	100.0
ვაკე და საბურთალოს	50.0	50.0	100.0	42.9	57.1	100.0	60.7	39.3	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	51.4	48.6	100.0	38.3	61.7	100.0	54.8	45.2	100.0
სულ	**48.0**	**52.0**	**100.0**	**43.9**	**56.1**	**100.0**	**47.4**	**52.6**	**100.0**

ცხრილი 3.3. გადარიცხული თანხა სქესისა და ასაკის მიხედვით

	2016			2017			2018		
რაიონი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	68 500	71 200	139 700	68 500	79 800	148 300	64 600	81 500	146 100
დიდუბე და ჩუღურეთის	22 200	19 600	41 800	22 900	18 700	41 600	12 700	16 400	29 100
ისანი და სამგორის	65 400	85 300	150 700	69 000	101 300	170 300	79 800	86 600	166 400
ვაკე და საბურთალოს	17 900	18 800	36 700	11 400	14 800	26 200	17 200	10 700	27 900
მთაწმინდა და კრწანისის	19 100	20 900	40 000	18 400	28 900	47 300	21 700	20 200	41 900
სულ	**193 100**	**215 800**	**408 900**	**190 200**	**243 500**	**433 700**	**196 000**	**215 400**	**411 400**

ცხრილი 3.4. გადარიცხული თანხის პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

	2016			2017			2018		
რაიონი	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ	გოგო	ბიჭი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	49.0	51.0	100.0	46.2	53.8	100.0	44.2	55.8	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	53.1	46.9	100.0	55.0	45.0	100.0	43.6	56.4	100.0
ისანი და სამგორის	43.4	56.6	100.0	40.5	59.5	100.0	48.0	52.0	100.0
ვაკე და საბურთალოს	48.8	51.2	100.0	43.5	56.5	100.0	61.6	38.4	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	47.8	52.3	100.0	38.9	61.1	100.0	51.8	48.2	100.0
სულ	**47.2**	**52.8**	**100.0**	**43.9**	**56.1**	**100.0**	**47.6**	**52.4**	**100.0**

ცხრილი 3.5. ახალშობილების რაოდენობრივი განაწილება დაბადების რიგითობის და რაიონების მიხედვით

რაიონი	2016				2017				2018			
	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	94	30	23	147	96	40	21	157	88	45	21	154
დიდუბე და ჩუღურეთის	31	5	8	44	27	8	8	43	22	7	3	32
ისანი და სამგორის	79	41	31	151	111	47	23	181	88	54	28	170
ვაკე და საბურთალოს	24	7	7	38	19	5	4	28	13	10	5	28
მთაწმინდა და კრწანისის	15	10	12	37	26	10	11	47	23	10	9	42
სულ	**243**	**93**	**81**	**417**	**279**	**110**	**67**	**456**	**234**	**126**	**66**	**426**

ცხრილი 3.6. ახალშობილების პროცენტული განაწილება დაბადების რიგითობის და რაიონების მიხედვით

რაიონი	2016				2017				2018			
	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	63.9	20.4	15.6	100.0	61.1	25.5	13.4	100.0	57.1	29.2	13.6	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	70.5	11.4	18.2	100.0	62.8	18.6	18.6	100.0	68.8	21.9	9.4	100.0
ისანი და სამგორის	52.3	27.2	20.5	100.0	61.3	26.0	12.7	100.0	51.8	31.8	16.5	100.0
ვაკე და საბურთალოს	63.2	18.4	18.4	100.0	67.9	17.9	14.3	100.0	46.4	35.7	17.9	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	40.5	27.0	32.4	100.0	55.3	21.3	23.4	100.0	54.8	23.8	21.4	100.0
სულ	**58.3**	**22.3**	**19.4**	**100.0**	**61.2**	**24.1**	**14.7**	**100.0**	**54.9**	**29.6**	**15.5**	**100.0**

ცხრილი 3.7. გადარიცხული თანხა დაბადების რიგითობის და რაიონების მიხედვით

რაიონი	2016				2017				2018			
	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	75 200	30 000	34 500	139 700	76 800	40 000	31 500	148 300	70 400	44 200	31 500	146 100
დიდუბე და ჩუღურეთის	24 800	5 000	12 000	41 800	21 600	8 000	12 000	41 600	17 600	7 000	4 500	29 100
ისანი და სამგორის	63 200	41 000	46 500	150 700	88 800	47 000	34 500	170 300	70 400	54 000	42 000	166 400
ვაკე და საბურთალოს	19 200	7 000	10 500	36 700	15 200	5 000	6 000	26 200	10 400	10 000	7 500	27 900
მთაწმინდა და კრწანისის	12 000	10 000	18 000	40 000	20 800	10 000	16 500	47 300	18 400	10 000	13 500	41 900
სულ	**194 400**	**93 000**	**121 500**	**408 900**	**223 200**	**110 000**	**100 500**	**433 700**	**187 200**	**125 200**	**99 000**	**411 400**

ცხრილი 3.8. გადარიცხული თანხის პროცენტული განაწილება დაბადების რიგითობის და რაიონების მიხედვით

რაიონი	2016				2017				2018			
	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ	მე-3 ბავშვი	მე-4 ბავშვი	მე-5 და შემდეგი ბავშვი	სულ
გლდანი და ნაძალადევის	53.8	21.5	24.7	100.0	51.8	27.0	21.2	100.0	48.2	30.3	21.6	100.0
დიდუბე და ჩუღურეთის	59.3	12.0	28.7	100.0	51.9	19.2	28.8	100.0	60.5	24.1	15.5	100.0
ისანი და სამგორის	41.9	27.2	30.9	100.0	52.1	27.6	20.3	100.0	42.3	32.5	25.2	100.0
ვაკე და საბურთალოს	52.3	19.1	28.6	100.0	58.0	19.1	22.9	100.0	37.3	35.8	26.9	100.0
მთაწმინდა და კრწანისის	30.0	25.0	45.0	100.0	44.0	21.1	34.9	100.0	43.9	23.9	32.2	100.0
სულ	**47.5**	**22.7**	**29.7**	**100.0**	**51.5**	**25.4**	**23.2**	**100.0**	**45.5**	**30.4**	**24.1**	**100.0**

თავი 4. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება“

2014-2017 წლებში პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დასვენების უზრუნველყოფას.

პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ:

- თბილისში რეგისტრირებული 3-დან 21 წლამდე ასაკის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები;
- შშმ მოზარდების ჯანმრთელი ტყუპისცალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროგრამის ფარგლებში მომსახურების სახე და ოდენობა იყო:

- მომვლელის თანხლებით შშმ პირთა დასვენება საქართველოს მთისა და ზღვის კურორტებზე;
- მინიმუმ სამჯერადი კვება
- კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ადგილას ტრანსპორტირება და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიური და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება;
- დანიშნული მკურნალობის უწყვეტობა (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით უზრუნველყოფა;
- ზღვის კურორტზე დასასვენებლად განსაზღვრულია 12 დღე;
- მთის კურორტზე დასასვენებლად განსაზღვრულია 12 დღე;

პროგრამაში ჩართვა ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

ბენეფიციარს საკურორტო მომსახურების მისაღებად განცხადებით უნდა მიემართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის.

საჭირო დოკუმენტების სია იყო:

- მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №100);
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2017 წლიდან პროგრამის მოსარგებლეებს საშუალება მიეცათ ესარგებლათ ტენდერით გამოვლენილი მიმწოდებლების მომსახურებით ან ვაუჩერული სისტემით, რომლის ფარგლებშიც თავად აირჩევდნენ მომსახურების ადგილს, სასტუმროს და მომსახურების პირობებს მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა თბილისისა.

2018 წლიდან პროგრამა მოქმედებს მხოლოდ ვაუჩერული პრინციპით. ვაუჩერით სარგებლობის ვადა განისაზღვრა ანაკლებ 6 დღე-ღამისა. ვაუჩერის ფასი 700 ლარს შეადგენდა.

